

ბავშვთა საკითხების გაშუქება ნაციონალური ტელევიზიების ეთერში

(საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის, ტელეკომპანია  
„იმედისა“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიხედვით)

საკვლევი პერიოდი: 01.01.2017 – 31.05.2017

გიორგი ფუტყარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია: პრაქტიკა, კვლევა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კინწურაშვილი, ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გაირკვეს და გაანალიზდეს საქართველოს 3 ნაციონალური ტელევიზიის – საზოგადოებრივი მაუწყებლის, ტელეკომპანია „იმედისა“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის – ეთერში ბავშვთა საკითხების გაშუქების სპეციფიკა. ამ მიმართულებით უკვე არსებული კვლევების საფუძველზე ვიგებთ, რომ მედიაში ბავშვთა საკითხების არაეთიკურად გაშუქების გარკვეული მაგალითები ჯერ კიდევ შეინიშნება, რაც ბავშვთა უფლებების უხეშ დარღვევაში გამოიხატება.

მონიტორინგმა, რომელიც 5-თვიან პერიოდს მოიცავდა, სიღრმისეულად შეისწავლა სოციალური თოქ-შოუს – „რეალური სივრცის“, შაბათის მთავარი საინფორმაციო გამოშვების – „შაბათის კურიერისა“ – და კვირის მთავარი საინფორმაციო გადაცემის – „იმედის კვირის“ – ეთერში ბავშვებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მახასიათებელი, გამოავლინა მათი უფლებების დარღვევის კონკრეტული მაგალითები და ერთგვარი ტენდენციები, რომლებიც მედიაში, დღესდღეობით, ბავშვთა საკითხების ეთიკური / არაეთიკური გაშუქების მიმართულებით შეინიშნება.

იმისათვის, რომ პასუხი გაგვეცა კითხვაზე, იცავს თუ არა საქართველოს 3 ნაციონალური ტელევიზია ბავშვთა საკითხების გაშუქებისას დადგენილ პროფესიულ სტანდარტებსა და არასრულწლოვანთა კანონიერ უფლებებს, ნაშრომში გამოყენებულია კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდოლოგია (კონტენტ-ანალიზი) და სიღრმისეულადაა დამუშავებული შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული ლიტერატურა, საკანონმდებლო ნორმები / რეგულაციები და სხვ.

ვფიქრობთ, რომ საკითხი, მისი მრავალფეროვნებიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე, მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

## Abstract

The purpose of this work is to clarify and analyze specificity of broadcasting of children's matters on the air of Georgian 3 national televisions – Social Broadcast, TV Company “IMEDI” and TV Company “Rustavi-2”. As result of studies already existed in this direction it is found out that particular examples of non-ethic broadcasting of children's matters in media is still noted, and this is expressed in rough violation of children's rights.

Monitoring which took the period of 5 months has deeply examined all important details connected to children in the air of social talk-show – “Real Space”, main information broadcast of Saturday – “Saturday Courier” – and the main informational broadcast of the week – “Imedis Kvira”, revealed concrete examples of violation of their rights and some tendencies, which is noted in media at present, in direction of ethical / non-ethical broadcasting of children's matters.

In order to answer the question, if Georgian 3 national televisions observe professional standards established for broadcasting of children's matters and their legal rights in the work there is used as quantitative so characteristic methodology (content-analysis) and there are deeply developed corresponding international and national literature, legislative norms / regulations etc.

We think that the question, because of its comprehensiveness and actuality, will be interesting for reader.